საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №4

ქ.თბილისი 25.02.2014

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

მაგდა მაღრაძე - სსიპ „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი" საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
მაია ჩიხლაძე - შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „პანაცეას" დირექტორის მოადგილე, მედიცინის დოქტორი; საბჭოს მდივანი;
ნანა გაფრინდაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ირაკლი მაჩაბელი - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი;
ზაზა რუხაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი, შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი;
მამია ჯანჯალია - სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მოადგილე.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ნანა ჭიღლაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;
გიორგი ცხვედიანი - აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
გაბრიელ პოსოხოვი - გარე მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;
თამარ ურუშაძე - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;
ლიკა გიორგაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
ლევან მადათოვი - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

აკრედიტაციის ექსპერტები:

მანანა მოისწრაფიშვილი;
ირინა გოცირიძე;
კონსტანტინე სირბილაძე;
ნინო ქიმერიძე;
დავით ჩიჩუა.

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

ირინე კვაჭაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ოთარ გერზმავა - სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

კონსტანტინე სირბილაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ციური გეგუჩაძე - ასოცირებული პროფესორი;
პარმენ ყიფიანი - პროგრამის ხელმძღვანელი.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

არჩილ ფრანგიშვილი - რექტორი;
გიორგი ძიძიგური - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
მანანა მოისწრაფიშვილი - სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
ირაკლი გუჯაბიძე - პროგრამის ხელმძღვანელი.

შპს - აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

დავით ჩერქეზიშვილი - რექტორი;
ირინე დარჩია - პრორექტორი;
ვარდო გვარჯალაძე - პროგრამის ხელმძღვანელი.

სხდომა დაიწყო 14:15 საათზე, საბჭოს მდივანმა შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს მდივანმა საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ჯანდაცვის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასალების მიღება, დამუშავება და ხარისხის კონტროლის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მშენებლობის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ფსიქოდიაგნოსტიკისა და კონსულტირების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო და ნავთობგაზის საქმის (რუსულენოვანი) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

7. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატყეო საქმის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული ტექნოლოგიების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასურსათო ტექნოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
10. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგზაო ინჟინერიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
11. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცხოველეობის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება ან ხომ არ ჰქონდათ დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე შუამდგომლობა. ნანა ჭიღლაძემ აღნიშნა, რომ ცენტრში შემოსული იყო ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის წერილი, რომლითაც ითხოვდნენ მათი საკითხის განხილვის გადადებას პროგრამის ხელმძღვანელის ავადმყოფობის გამო. საბჭოს წევრებმა უყარეს კენჭი და ერთხმად დაამტკიცეს განახლებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ჯანდაცვის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასალების მიღება, დამუშავება და ხარისხის კონტროლის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მშენებლობის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4.შპს - აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო და ნავთობგაზის საქმის (რუსულენოვანი) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატყეო საქმის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული ტექნოლოგიების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასურსათო ტექნოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგზაო ინჟინერიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
10. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცხოველეობის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს და სთხოვა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ანგარიშებსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. მხარეებმა დაადასტურეს, რომ აღნიშნულ დოკუმენტაციას იცნობდნენ.

1. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ჯანდაცვის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა საბჭოს გააცნო გიორგი ცხვედიანმა რომელმაც წაიკითხა დასკვნა და დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული სპეციალისტების პირადი საქმეებიდან (სამუშაო გამოცდილებითა და გამოქვეყნებული შრომებით) დასტურდება მათი კომპეტენტურობა შესაბამისი მიმართულებებით, თუმცა, სასურველია, პროგრამის განხორციელებაში ასევე ჩაერთოს პირი/პირები ვისაც მინიჭებული აქვს კვალიფიკაცია ბიზნესის ადმინისტრირების/მენეჯმენტის მიმართულებით;
- სასურველია უკეთ დაზუსტდეს პროგრამაზე მიღების წინაპირობები, სპეციალობაში გამოცდის ნაწილში;
- სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსებშიც აისახოს პროგრამაში მითითებული სწავლების მეთოდები (საქმიანი თამაშების, პროექტის მომზადება/პრეზენტაციის და ა.შ.);
- სასურველია სამაგისტრო პროგრამაში მითითებული იყოს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები;
- სასურველია ცალკეულ სასწავლო კურსებში უფრო გამჭვირვალედ წარმოჩინდეს შეფასების კრიტერიუმები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციები ფაქტობრივად გათვალისწინებული ჰქონდათ. მათ შორის გაითვალისწინეს, შესაბამისი მიმართულების ადამიანური რესურსის მოძიების საკითხიც. დაწესებულების განმარტებით, ვიზიტის პერიოდში არ მოხერხდა აღნიშნული პირების პირადი საქმეების წარმოდგენა, და ექსპერტის შენიშვნა გამოიწვია უფრო პირადი საქმეების არასრულყოფილებამ, ვიდრე რეალურად პერსონალის კვალიფიკაციამ.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, პირადი საქმეები რამდენად იქნა შესწავლილი. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტმა ნახა ის პირადი საქმეები, რომლებიც ადგილზე იყო, ხოლო შენიშვნა შეეხებოდა იმ პირების დოკუმენტაციას, რომელიც უნივერსიტეტმა ვერ წარმოადგინა. მონიტორინგის ვიზიტის შესახებ დაწესებულებამ წინა დღეს შეიტყო და ნაწილობრივ მოუმზადებელი აღმოჩნდა.

მონიტორინგის ჯგუფის წევრმა, გიორგი ცხვედიანმა, აღნიშნა, რომ მონიტორინგის პირველ დღეს ჯგუფს წარუდგინეს ძველი პროგრამა, რომელიც არ პასუხობდა აკრედიტაციის სტანდარტებს. მხოლოდ მეორე დღეს მოხდა უნივერსიტეტის მიერ პროგრამის მოდიფიცირების აქტის წარმოდგენა, და ჯგუფმა გადაამოწმა პროგრამა, რომელიც დამტკიცებული იყო 2011 წელს, სწორედ იმ შინაარსით, რომლითაც იმავე წელს აკრედიტაცია გაიარა. ექსპერტის აზრით, აკრედიტაციის დროს გამოთქმული რეკომენდაციების გათვალისწინება კვლავ რჩება ძალაში, ვინაიდან პროგრამა 2011 წლის მერე არ განახლებულა, რის შესახებაც მიეთითა მონიტორინგის დასკვნაში.

საბჭოს წევრმა, ნანა გაფრინდაშვილმა, იკითხა, რა ხარვეზების გამოკვეთა შეეძლო მონიტორინგის ჯგუფს, როგორც არსებითის. გიორგი ცხვედიანმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის მინიჭების დროს პროგრამა აკმაყოფილებდა სტანდარტებს, ასევე, მონიტორინგის ჯგუფის მიერ არ დაფიქსირებულა რომელიმე სტანდარტთან პროგრამის შეუსაბამობა და დასკვნითი ნაწილი მხოლოდ რეკომენდაციების შესრულებას შეეხებოდა.

მაგდა მაღრაძემ აღნიშნა, რომ პროგრამას აკრედიტაცია არ ჰქონდა მიღებული მონიტორინგის პირობით, შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული რეკომენდაციები ნებაყოფლობით შესასრულებელი იყო უნივესიტეტისათვის.

საბჭომ დაასრულა აღნიშნული საკითხის განხილვა და გადავიდა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხის განხილვაზე.

2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასალების მიღება, დამუშავება და ხარისხის კონტროლის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	მასალების მიღება, დამუშავება და ხარისხის კონტროლი
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ინჟინერიის დოქტორი მასალათმცოდნეობაში
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	0412
კრედიტების რაოდენობა	180

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა, მანანა მოისწრაფიშვილმა, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასწავლო კურსის „პედაგოგიური პრაქტიკა" სალექციო კურსი მოიცავს ისეთ საკითხებს, რომელიც სცდება პედაგოგიური საქმიანობის ფარგლებს (მაგ. დეკანატის საქმიანობის დაგეგმვა – ორგანიზაცია; სასწავლო, სამეცნიერო და სამეურნეო–საფინანსო საქმიანობის დაგეგმვა უმაღლეს სასწავლებელში) და სასურველია სალექციო თემების შეცვლა სასწავლო კურსის მიზნის შესაბამისად;
- სადოქტორო პროგრამაში წარმოდგენილი იყო ის სწავლების მეთოდებიც, რომელიც რეალურად არ გამოიყენებოდა, ხოლო სასწავლო კურსების სილაბუსებში არ იყო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელ მეთოდებს იყენებდნენ კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლებისას. პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შემდეგ აღნიშნული ხარვეზი გამოსწორდა, სასწავლო პროგრამაში და თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში შეტანილ იქნა რეალურად გამოყენებადი სწავლის მეთოდები, რომლებიც ორიენტირებულია სწავლის შედეგებზე;
- რიგი სასწავლო კურსის სილაბუსებში არ იყო სრულყოფილად წარმოდგენილი ინფორმაცია სტუდენტის ცოდნის შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმების შესახებ, თუმცა, ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებაში არსებობს სტუდენტთა ინფორმირების წესები მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ. პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ წარმოდგენილ იქნა სასწავლო კურსების სილაბუსები, რომლებშიც შეტანილ იქნა სტუდენტის ცოდნის შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმები;
- პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით კიდევ უფრო მეტი კავშირების დამყარება და საერთაშორისო ბაზრის საჭიროების ფარგლებში კურსდამთავრებულთა დასაქმება;
- პროგრამის განხორციელებისათვის გამოყენებული სახელმძღვანელოები და სასწავლო–მეთოდური ლიტერატურა, სხვა სასწავლო მასალა, რომლებიც ხელმისაწვდომია დოქტორანტებისათვის საჭიროებს განახლებასა და შევსებას სწავლების საფეხურის დონის

შესაბამისად უახლესი ლიტერატურით რათა უზრუნველყოფილ იქნას სწავლის შედეგების მიღწევა და პროგრამის ფარგლებში ხარისხიანი კვლევების წარმოება, რის შესახებაც რეკომენდაცია მიეცა პროგრამის ხელმძღვანელს და აკადემიურ პერსონალს, აგრეთვე ადმინისტრაციის წარმომადგენლებსაც, რომლებიც დაეთანხმნენ აღნიშნულ რეკომენდაციას და აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტს აქვს საჭირო ფინანსური რესურსი და დაგეგმილია ლიტერატურისა და სასწავლო მასალების სრულყოფა. მათთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ 2011 წლიდან უნივერსიტეტი ჩართულია ინტეგრირებულ საბიბლიოთეკო სისტემის ონლაინ–კატალოგის (OPAC) სერვისში; ბიბლიოთეკას გააჩნია წვდომა ელექტრონულ ბაზებზე; http://search.epnet.com/; http://journals.cambridge.org/, თუმცა სასწავლო კურსების სილაბუსებში შეინიშნებოდა ძირითადი ლიტერატურის სიმწირე, დამხმარე ლიტერატურად ძირითადად მოძველებული რუსულენოვანი სახელმძღვანელოები იყო მითითებული და არ იყო გამოყენებული უცხოენოვანი თანამედროვე სასწავლო მასალები (ელექტრონული სახელმძღვანელოები, პერიოდული გამოცემები, სქემები, ტაბულები და ა.შ), რომლებიც ხელმისაწვდომია აღნიშნული სერვისის გამოყენების შედეგად.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეთანხმებოდა ექსპერტთა მოსაზრებებს და ვიზიტის დროსვე გაითვალისწინა მათი რეკომენდაციების უმრავლესობა. მისი განცხადებით, ექსპერტთა ვიზიტის დროს მოხდა საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა და მისი განახლებული ვერსია დამტკიცდა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ.

პირველ რეკომენდაციაზე განაცხადა, რომ სასწავლო კურსი „პედაგოგიური პრაქტიკა", მართლაც, უფრო მეტად უნდა ყოფილიყო პედაგოგიური საქმიანობის შესწავლაზე ორიენტირებული და რადგან ეს ზოგადსაუნივერსიტეტო საგანს წარმოადგენდა, უნივერსიტეტი გეგმავდა ამ საკითხზე აქტიურ მუშაობას და სილაბუსის გამრავალფეროვნებას.

სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით დაფიქსირებულ რეკომენდაციაზე წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული ხარვეზი გამოსწორდა და თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში შეიტანეს სწავლის ის მეთოდები, რომლებიც ორიენტირებული იქნება სწავლის შედეგებზე.

ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან სოლიდური თანხა იქნა გამოყოფილი ამ მიმართულებით და შესაბამისად, იგეგმებოდა ბიბლიოთეკის უახლესი ლიტერატურით შევსება.

სხდომის თავმჯდომარემ მაგდა მაღრაძემ იკითხა კვლევის მეთოდები ისწავლებოდა თუ არა პროგრამაში, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს სასწავლო კურსი ცალკე სასწავლო დისციპლინის სახით არ იყო შეთავაზებული პროგრამაში, თუმცა, ყველა საგანში ინტეგრირებული იყო კვლევითი ელემენტები და შესაბამისად, დოქტორანტს შესაძლებლობა ჰქონდა ცალკეული სასწავლო კურსის ფარგლებში შეესწავლა ეს საკითხები. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებას დაეთანხმა ექსპერტიც და განაცხადა, რომ კვლევის მეთოდების სწავლება ნამდვილად იყო გათვალისწინებული თითოეულ საგანში.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, უნივერსიტეტს ჰქონდა თუ არა ლაბორატორიები, რაზეც წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტს გააჩნდა საკუთარი ლაბორატორია, თუმცა, ამავდროულად გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმები სხვადასხვა ქარხნებთან, რომლის საფუძველზეც სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ ესარგებლად იქ არსებული მატერიალური ბაზებით.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ რამდენი სტუდენტის მიღებას გეგმავდა დაწესებულება. წარმომადგენლის განცხადებით, პროგრამაზე დაინტერესება უკვე გამოხატული ჰქონდა ორ სტუდენტს და შესაბამისად, სავარაუდოდ ორ დოქტორანტს მიიღებდნენ საწყის ეტაპზე.

მაგდა მაღრაძემ იკითხა უნივერსიტეტს ჰქონდა თუ არა საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელთან წვდომა, რაზეც დაწესებულებამ თანხმობა განაცხადა. თუმცა, მისი განმარტებით, ამ პროგრამას სჭირდებოდა სპეციფიკური ლიტერატურა, რომელიც საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელში ნაკლებად მოიპოვებოდა, მაგრამ დაწესებულება ზრუნავდა ამ საკითხზე და გეგმავდა სამეცნიერო სტატიების და სახელმძღვანელოების გამოშვებას.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, პროგრამაში რატომ არი იყო გათვალისწინებული უცხო ენის სწავლება, რაზეც წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რადგან პროგრამაზე მიღების წინაპირობად განსაზღვრული იყო ენობრივი კომპეტენციის მინიმუმ B2 დონეზე ფლობა, მიზანშეწონილად აღარ ჩათვალეს პროგრამაში ენის შემსწავლელი კურსის ჩართვა.

საბჭომ დაასრულა აღნიშნული საკითხის განხილვა და გადავიდა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხის განხილვაზე.

3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მშენებლობის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	მშენებლობა
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	მშენებლობის დოქტორი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	
კრედიტების რაოდენობა	180

ექსპერტმა, მანანა მოისწრაფიშვილმა საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები:

- რიგი სასწავლო კურსების (საგზაო მშენებლობის საწარმოო ბაზის სპეცკურსი; ბუნებრივი წყლის მიღება, დამუშავება და გამოყენება; ჰიდროინჟინერიაში გამოყენებული ტრადიციული და ახალი სახის სამშენებლო კომპოზიციური მასალების მექანიკა; საავტომობილო გზების დიაგნოსტიკა; შემკვრელების და ბეტონის კომპოზიტების მიღების ტექნოლოგიური პროცესები) სალექციო კურსი მოიცავდა ისეთ საკითხებს, რომელიც სრულად არ შესაბამებოდა დოქტორანტურის დონეს, ნაწილობრივ იმეორებდა მაგისტრატურის სასწავლო კურსების შინაარსს, თუმცა, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან შეხვედრის შემდეგ მოხდა აღნიშნული სასწავლო კურსების სალექციო თემების შეცვლა და შესაბამისად, იგი ამჯერად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას;
- პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით. პროგრამის კომპეტენციებში განხორციელდა ზოგიერთი ფრაზის დაზუსტება შინაარსის ნათლად წარმოჩენის მიზნით. პროგრამის კომპეტენციები წარმოდგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის დოქტორანტურის დონით;
- რიგი სასწავლო კურსების სილაბუსებში (ბუნებრივი წყლის მიღება, დამუშავება და გამოყენება; ჰიდროინჟინერიაში გამოყენებული ტრადიციული და ახალი სახის სამშენებლო კომპოზიციური მასალების მექანიკა; შემკვრელების და ბეტონის კომპოზიტების მიღების ტექნოლოგიური პროცესები) არ იყო სრულყოფილად წარმოდგენილი სწავლების მეთოდები, რომელიც მათ ავტორებთან შეხვედრისა და გასაუბრების შემდეგ შესწორდა და წარმოდგენილი იქნა გასწორებული სახით;
- პროგრამის განხორციელებისათვის გამოყენებული სახელმძღვანელოები და საწავლო–მეთოდური ლიტერატურა, სხვა სასწავლო მასალა, რომლებიც ხელმისაწვდომია დოქტორანტებისათვის საჭიროებს განახლებასა და შევსებას სწავლების საფეხურის დონის

შესაბამისად უახლესი ლიტრატურით რათა უზრუნველყოფილი იქნას მაღალი ხარისხით სწავლის შედეგების მიღწევა და პროგრამის ფარგლებში კვლევების წარმოება;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის ჩამონათვალში იყო სტუ-ს სამი პროფესორიც, მიუხედავად იმისა, რომ აწსუ-ს ადამიანური რესურსი საკმარისია პროგრამის უზრუნველსაყოფად. პროგრამის ხელმძღვანელს მიეცა რეკომენდაცია, რომ პროგრამაში დასაქმებული იქნას უნივერსიტეტის პროფესორები და საჭიროების შემთხვევაში სტუ-ს პროფესორებთან ითანამშრომლონ უნივერსიტეტებს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, რასაც პროგრამის ხელმძღვანელი დაეთანხმა;
- პროგრამის განხორციელებისათვის გამოყენებული სახელმძღვანელოები და სასწავლო–მეთოდური ლიტერატურა, სხვა სასწავლო მასალა, რომლებიც ხელმისაწვდომია დოქტორანტებისათვის საჭიროებს განახლებასა და შევსებას სწავლების საფეხურის დონის შესაბამისად უახლესი ლიტრატურით რათა უზრუნველყოფილი იქნას სწავლის შედეგების მიღწევა და პროგრამის ფარგლებში ხარისხიანი კვლევების წარმოება, რის შესახებაც რეკომენდაცია მიეცა პროგრამის ხელმძღვანელს და აკადემიურ პერსონალს, აგრეთვე ადმინისტრაციის წარმომადგენლებსაც, რომლებიც დაეთანხმნენ აღნიშნულ რეკომენდაციას და აღნიშნეს რომ უნივერსიტეტს აქვს საჭირო ფინანსური რესურსი და დაგეგმილია ლიტერატურისა და სასწავლო მასალების სრულყოფა. მათთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ 2011 წლიდან უნივეტსიტეტი ჩართულია ინტეგრირებულ საბიბლიოთეკო სისტემის ონლაინ–კატალოგის (OPAC) სერვისში; ბიბლიოთეკას გააჩნია წვდომა ელექტრონულ ბაზებზე; http://search.epnet.com/ ;http://journals.cambridge.org/, თუმცა სასწავლო კურსების სილაბუსებში შეინიშნებოდა ძირითადი ლიტერატურის სიმწირე, დამხმარე ლიტერატურად ძირითადად მოძველებული რუსულენოვანი სახელმძღვანელოები იყო მითითებული და არ იყო გამოყენებული უცხოენოვანი თანამედროვე სასწავლო მასალები (ელექტრონული სახელმძღვანელოები, პერიოდული გამოცემები, სქემები, ტაბულები და ა.შ), რომლებიც ხელმისაწვდომია აღნიშნული სერვისის გამოყენების შედეგად.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეთანხმებოდა ექსპერტთა მოსაზრებებს და ვიზიტის დროსვე გაითვალისწინა მათი რეკომენდაციების უმრავლესობა. მისი განმარტებით, ეს პროგრამა ახალი იყო, თუმცა, უნივერსიტეტს ამ მიმართულების პროგრამების განხორციელების გამოცდილება უკვე გააჩნდა. როგორც თვითონ განაცხადა, უნივერსიტეტში არსებობდა ამ მიმართულების რუსულენოვანი პროგრამა, რომელზეც ძირითადად უცხოელები სწავლობდნენ. წარმომადგენელმა ისაუბრა პროგრამის აქტუალურობაზე და განაცხადა, რომ რადგან სახელმწიფო ამ მიმართულებას პრიორიტეტულ მიმართულებად აღიარებდა, მიზანშეწონილად მიიჩნიეს საბაკალავრო და სადოქტორო საფეხურზეც განეხორციელებინათ სწავლება, რათა სტუდენტებს სახელმწიფო დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობა მისცემოდათ. მისი განცხადებით, ექსპერტთა ვიზიტის დროს რეკომენდაციების გათვალისწინებით მოხდა საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა და მისი განახლებული ვერსია დამტკიცდა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ.

საბჭოს წევრებმა სთხოვეს ექსპერტს დაეზუსტებინა რამდენი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ვიზიტი, რაზეც ექსპერტმა განაცხადა, რომ აკრედიტაციის ვიზიტი 3 დღის მანძილზე ხორციელდებოდა.

საბჭოს წევრმა ნანა გაფრინდაშვილმა ჰკითხა ექსპერტს, რამდენად რეალური იყო იმ ხარვეზების 3 დღის ვადაში გამოსწორება, რომლებთან დაკავშირებითაც დასკვნაში ფიქსირდებოდა, რომ ვიზიტის დროს ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინებით

გასწორდა. აღნიშნულთან დაკავშირებით, ექსპერტმა განაცხადა, რომ რადგან პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს ექსპერტთა ხედვა გაცნობიერებული ჰქონდა და შესაბამისად, ზუსტად იცოდნენ რა მიმართულებით უნდა განევითარებინათ პროგრამა, განსაკუთრებულ სირთულეს აღარ უკავშირდებოდა ცვლილებების ვიზიტის მიმდინარეობისას განხორციელება. მისი განმარტებით, ახლად დამტკიცებული პროგრამა სრულად აკმაყოფილებდა აკრედიტაციის სტანდარტებს.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, პროგრამის შემუშავებისას აქტიურად თანამშრომლობდნენ დამსაქმებლებთან, რომელთა მოთხოვნების გათვალისწინებითაც მოხდა გარკვეული კურსების პროგრამაში ჩართვა, თუმცა, რადგან ექსპერტთა რეკომენდაციები არ ეთანხმებოდა დამსაქმებელთა მოთხოვნებს ვიზიტის დროს პოტენციურ დამსაქმებლებთან ინტერვიუირების პროცესში მოხდა ამ სადავო საკითხებზე შეჯერება და პროგრამაში ცვლილებების განხორციელებაც საერთო კონსესუსის მიღწევის შემდეგ გახდა შესაძლებელი.

მაგდა მაღრაძემ იკითხა, რა უპირატესობა ჰქონდა ამ პროგრამას სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამებთან შედარებით. რაზეც წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამ პროგრამის განხორციელება რეგიონისთვისაც პრიორიტეტს წარმოადგენდა, რადგან ადგილობრივი კადრების გადამზადების და მათი შემდგომში ადგილზევე დასაქმების პერსპექტივა იზრდებოდა.

საბჭომ დაასრულა აღნიშნული საკითხის განხილვა და გადავიდა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხის განხილვაზე.

4. .შპს - აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ინგლისური ფილოლოგია
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ფილოლოგიის ბაკალავრი ინგლისურ ფილოლოგიაში
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	1005
კრედიტების რაოდენობა	240

საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა, ნინო ქიმერიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ მთლიანობაში პროგრამა გამართული იყო, თუმცა, ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა კითხვები, რომლებთან დაკავშირებითაც ვიზიტის მიმდინარეობისას გაიმართა მსჯელობა დაწესებულების წარმომადგენლებთან. ექსპერტმა საბჭოს გააცნო პროგრამის გაუმჯობესების მიზნით ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- ექსპერტთა ჯგუფს მნიშვნელოვნად მიაჩნია კონკრეტული დისციპლინების - ინგლისური ენის ისტორია, ინგლისური ენის ლექსიკოლოგია, ტექსტის ანალიზური კითხვა, თარგმანის თეორია და პრაქტიკა - სილაბუსების რედაქტირება; გამომდინარე იქიდან, რომ პრაქტიკული ენის სასწავლო კურსები აწყობილია უცხოური ენის სწავლისა და სწავლების საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს სკალირების პრინციპზე, რაც ასახულია ცალკეული მიმართულების მიზნების ჩამოყალიბებისას და სახელმძღვანელოს შერჩევისას, სასურველია სწავლის შედეგების (ცოდნა გაცნობიერება) კონკრეტულ ნაწილში სტუდენტს მიეწოდოს ინდიკატორების ზუსტი ნუსხა, სწავლის ხარისხის ეფექტურობის მიზნით;
- დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასურველია, შეეცვალოს სტატუსი ინგლისური ენის ფონეტიკის თეორიას და გადანაცვლდეს სავალებულო საგნების რეგისტრში, ხოლო საგანს ტექსტის ინტერპრეტაცია (დრამა პოეზია) მიენიჭის არჩევითის სტატუსი, რაც ხელს შეუწყობდა დარგობრივი კომპეტენციების სრულყოფას;
- სასურველია პროგრამის განვითარების შემდგომ ეტაპზე გადაიხედოს პროგრამის ცალკეულ დისციპლინებზე დაშვების წინაპირობები გამომდინარე სასწავლო კურსების სტატუსის ცვლილებიდან (იხ. რეკომენდაცია N2);
- სასურველია თუ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეივსება დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი ტექნიკური აღჭურვილობით (აუდიო-ვიზუალური კაბინეტი და ფონოლაბორატორია); აუცილებელია შეივსოს და გაფართოვდეს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი, რაც ხელს შეუწყობს სწავლისა და სამეცნიერო აქტივობის გაფართოებას.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ როგორც დაწესებულების წარმომადგენლებმა ვიზიტის დროს განმარტეს, პროგრამა განმეორებით იყო წარმოდგენილი სააკრედიტაციოდ. ექსპერტთა ჯგუფის პირველი ვიზიტის დროს, ექსპერტებმა მითითება მისცეს პროგრამის

განმახორციელებლებს სახელმძღვანელოს შეცვლის მიზანშეწონილობის შესახებ, რასაც მოჰყვა პროგრამაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებაც. ექსპერტი ამ შემთხვევაში არ იზიარებდა პირველი ვიზიტის დროს გამოთქმულ მოსაზრებას და მისი თქმით, უმჯობესი იქნებოდა თუ პროგრამაში პირვანდელი მიდგომები იქნებოდა აღდგენილი.

ექსპერტის თქმით, ლექსიკოლოგიის სასწავლო კურსის შემთხვევაში, ცოდნა-გაცნობიერების ნაწილი საჭიროებდა დაზუსტებას, სასურველი იყო ინდიკატორები ყოფილიყო ნათელი და თვალხილული. ასევე, ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაცია ჰქონდა ფონეტიკის თეორია და პრაქტიკა ყოფილიყო არჩევითი სასწავლო კურსის სტატუსით წარმოდგენილი. მისი თქმით, ფონეტიკას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა წარმოდგენილი პროგრამის შემთხვევაში, ამასთან, მნიშვნელოვანი იყო სემინარებზე ფონეტიკის თეორიისა და პრაქტიკის ერთმანეთთან დაკავშირება. ექსპერტის თქმით, პროგრამის მიზნებისთვის, მიზანშეწონილი იყო ლინგვოფონური კაბინეტის შექმნა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს თანამშრომლობისთვის. მისი თქმით, ვიზიტის მიმდინარეობისას სიღრმისეულად იქნა შესწავლილი პროგრამა. წარმომადგენელმა განმარტება გააკეთა გაჟღერებულ საკითხებთან დაკავშირებით. ენის პრაქტიკულ კურსებთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინდიკატორები მიზნებში ჰქონდათ წარმოდგენილი და მის კოპირებით გადატანას შედეგებშიც, თავი აარიდეს, ამჯობინეს, რომ მიდგომა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისი ყოფილიყო, აქცენტი გაეკეთებინათ დარგობრივ და ტრანსფერულ უნარებზე. წარმომდეგნელი დაეთანმხა ფონეტიკის თეორიასთან დაკავშირებით ექსპერტის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას. წარმომადგენლის თქმით, მისი სავალდებულო სტატუსი განაპირობა ბრიტანულმა სტანდარტმა, რომლის მიხედვითაც იყო პროგრამა აგებული. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული დაწესებულების სტრატეგიის ნაწილი იყო, სამომავლოდ გეგმავდნენ ბიბლიოთეკის განახლებას. დაწესებულებამ 2012 წლის 12 ივლისს გაიარა ავტორიზაცია, მას შემდეგ, წელიწად ნახევარში 508 სახელმღვანელო შეიძინეს და მთლიანობაში 1600 წიგნი განკუთვნილი იყო სამი პროგრამისთვის, რომლებსაც ამჟამად ახორციელებლდა დაწესებულება. სამომავლოდ, პროგრამების რაოდენობის ზრდასთან ერთად გაიზრდებოდა წიგნადი ფონდიც. თარგმანის თეორიასა და პრაქტიკასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კურსის ხელმძღვანელის განმარტებით, ფანჯიკიძის სახელმძღვანელოდან სწორედ იმ ნაწილის გამოყენება ხდებოდა, რაც თეორიული ცოდნის გაღრმავებას ისახავდა მიზნად, სხვა ნაწილში ინგლისურენოვანი სპეციფიკის სახლმძღვანელო გამოიყენებოდა. სავალდებულო ლიტერატურაში ოთხი სახელმძღვანელო ჰქონდათ მითითებული, სილაბუსებში კი დეტალურად ჩანდა, რომელი თემა რით მუშავდებოდა. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ინგლიუსრი ენის ისტორიის სასწავლო კურსის სახელმძღვანელო პირველი ვიზიტის დროს მოძველებულად ჩათვალა ექსპერტთა ჯგუფმა და რეკომენდაცია მისცა პროგრამის განმახორციელებელებს მისი განახლების შესახებ, კურსის ხელმძღვანელმა კი აღმოაჩინა 2012 წელს გამოცემული სახელმძღვანელო, რომელიც წარმოადგინა მოდიფიცირებულ სილაბუსში. ამჟამად, იზიარებდნენ ექსპერტის მოსაზრებას და პირვანდელვერსიას დაუბრუნდებოდნენ.

ირაკლი მაჩაბელმა აღნიშნა, რომ მიზანშეწონილი არ იყო ასეთი მიდგომა, სამწუხარო ფაქტი იყო, როდესაც ექსპერტები ერთგავაროვან მიდგომებს არ იჩენდნენ, თუმცა,

დაწესებულების წარმომადგენელებს თუ ჰქონდათ თავიანთი ჩამოყალიბებული პოზიცია, უნდა დაეცვათ ის.

ნანა გარფინდაშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნაში პროგრამის განმახორციელებელ ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით აღნიშნული იყო, რომ მათგან ერთერთი ვერ აკმაყოფილებდა საკვალიფიკაციო მოთხოვნას, რადგან ბაკალავრიატიც კი არ ჰქონდა ინგლისური ფილოლოგიის მიმართულებით გავლილი. იგი პირადად იცნობდა ანა კოპალიანს და შეეძლო ზუსტი ინფორმაციის მიწოდება. მისი თქმით, ანა კოპალიანი 2001-2005 წლებში სწავლობდა ფილოლოგიის ფაკულტეტზე, სპეციალობით იყო ფილოლოგი მთარგმნელი, ასევე, დამთავერბული ჰქონდა თარგმანმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა, სპეციალობით - თარგმანმცოდნე. სამაგისტრო ნაშრომი დაიცვა შექსპირის ენიგმებზე. ამჟამად კი იყო ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი. რუსთაველის ფონდის მიერ გამოცადებულ კონკურსში შეფასებული იყო 99 ქულით. იგი გახლდათ ერთერთი თანამედროვე წარმატებული მთარგმნელი და წარმატებული ახალგაზრდა მეცნიერი. სამწუხარო იყო, რომ მისი კომპეტენცია დაწულებულ იქნა. ასევე, მისთვის გაუგებარი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებიული ჩანაწერი „პროგრამის მიზნები ნაწილობრივ მიღწევადია". მისთვის, როგორც ფილოლოგისათვის პროგრამის მიზნების მიღწევადობა ეჭვქვეშ არ იდგა.

ნინო ქიმერიძემ აღნიშნა, რომ მიუხედავად ანა კოპალიანის კვალიფიკაციისა, მისთვის, როგორც უცხო ენის წარმომადგენლისთვის უფრო მეტად მისაღები იყო კონკრეტული ენის მიმართულებით განათლების მქონე კურსის განმახორციელებელი, მას აუცილებლად ესაჭიროებოდა ლექსიკოლოგიის საფუძვლიანად ცოდნა. ნანა გაფრინდაშვილმა აღნიშნა, რომ უამრავი მაგალითის მოყვანა შეეძლო, როდესაც ინგლისურის კურსდამთავრებული უშვებდა შეცდომას.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებისათვის ეს პროცესი სამუშაო რეჟმი იყო, შეეძლოთ გაეთვალისწინებინათ რეკომენდაცია ან - არ გაეთვალისწინებიათ. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სხვა უცხო ენების შემთხვევაშიც დეტალურად იქნა პერსონალის პირადი საქმეები შესწავლილი. პუნქტუაციის და ორთოგრაფიის შესახებ დაწესებულების წარმომადგენელებთან ვიზიტის მიმდინარეობის დროს ისაუბრეს და დასკვნაში მისი დაფიქსირება საჭიროდ არ ჩათვალეს. დასკვნაში დაფიქსირებულ ფორმულირებასთან დაკავშირებით, პროგრამის მიზნების ნაწილობრივ მიღწევადობის შესახებ, ექსპერტმა განმარტა, რომ რეკომენდაციების სახით დაფიქსირებული საკითხების ნაწილში ჰქოდნა კითხვის ნიშნები, ამდენად, მიზანშეწონილად ჩათვალა სწორედ ასეთი ფორმულირება შეერჩია, პროგრამის დანარჩენი ნაჭილი კი ეჭვქვეშ არ იდგა.

მაგდა მაღრაძემ მიმართა ექსპერტს, მისასალმებელი იყო მისი ასეთი მაღალი კომპეტენცია, დეტალურად და ზედმიწევნით კარგად იყო განხილული ყველა სტანდარტი.

მამია ჯანჯალია დაინტერესდა, რა პროგრამები ხორციელდებოდა ამჟამად დაწესებულებაში. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამჟამად სულ 400 სტუდენტი ჰყავდათ და სწავლება მიმდინარეობდა სამართლის, ინგლისური ფილოლოგიისა და ფინანსების მიმართულებით.

15:40 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება, სხდომა განახლდა 16:20 საათზე. სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო სხდომის პირველ ნახევარში მიღებული გადაწყვეტილებები:

- სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ჯანდაცვის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმებასთან დაკავშირებით შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება, ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ დადგინდა სტანდარტის დარღვევის ფაქტი. (მომხრე - 6; წინააღმდეგი-0);
- სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასალების მიღების, დამუშავების და ხარისხის კონტროლის სადოქტორო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი-0);
- სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მშენებლობის სადოქტორო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი-1);
- შპს - აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი-0).

5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო და ნავთობგაზის საქმის (რუსულენოვანი) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	სამთო და ნავთობგაზის საქმე
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სამთო და გეოინჟენერიის ბაკალავრი
სწავლების ენა	რუსული
კვალიფიკაციის კოდი	0414
კრედიტების რაოდენობა	240

საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა, კოტე სირბილაძემ, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები:

- ცალკეულ დისციპლინებში გათვალისწინებულია პრაქტიკული სამუშაოები ჩატარება, მაგრამ ეს არ არის საკმარისი კვალიფიკაციის შესაბამისი სრულყოფილი სპეციალისტის ჩამოყალიბებისათვის და აუცილებელია პროგრამაში პრაქტიკის წილის გაზრდა. პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პერსონალთან საუბრის შემდეგ მოხდა პროგრამის მოდიფიცირება და პროგრამას დაემატა 5 კრედიტიანი საგანი „სასწავლო პრაქტიკა";
- პროგრამის მოდიფიცირებულ ვერსიაში პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისად დაზუსტდა არჩევითი მოდულების დასახელება და მათში წამყვანი პოზიცია უჭირავს ტექნოლოგიას და არა მენეჯმენტს;
- უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით, საბაკალავრო პროგრამა შეიძლება მოიცავდეს შუალედურ და ბაკალავრის კვალიფიკაციას. მოდიფიცირებამდე სამთო და ნავთობგაზის საქმის საბაკალავრო პროგრამას ჰქონდა სამთო და გეოინჟინერიის ბაკალავრის შუალედური კვალიფიკაცია. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებაში „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ" აღწერილია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩო, რომლის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით: „პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შუალედური კვალიფიკაციის მინიჭება დასაშვებია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილის გავლისთვის დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ". პროგრამაში არ იყო აღწერილი შუალედური კვალიფიკაცია. მოდიფიცირებულ პროგრამაში შუალედური კვალიფიკაცია ამოღებულია;
- აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო პროგრამა უნდა განხორციელდეს უცხო (რუსულ) ენაზე და აუცილებელია მიღების წინაპირობები ითვალისწინებდეს აბიტურიენტის მიერ რუსული ენის ცოდნის კომპეტენციის დადასტურებას. განხილვის შემდეგ მოდიფიცირებულ პროგრამაში შეტანილი იქნა აღნიშნული მოთხოვნა. საჭიროა ასევე უნივერსიტეტმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსაგან მიიღოს ნებართვა პროგრამის რუსულ ენაზე განხორციელების შესახებ;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფაქტობრივი დათვალიერებით აღმოჩნდა, რომ ლაბორატორიული მოწყობილობები მოძველებულია და საჭიროებს მოდერნიზებას, რათა

უზრუნველყოფილ იქნას სწავლის შედეგების მიღწევა თანამედროვე დონეზე. საჭიროა ასევე მემორანდუმების გაფორმება მოწინავე ტექნოლოგიებით აღჭურვილ საწარმოებთან სასწავლო პრაქტიკის ეფექტურად წარმართვის მიზნით;
- სასურველია წიგნადი ფონდი შეივსოს ახალი ლიტერატურით და მეთოდური მასალებით.
- სასურველია პროგრამაში ტექნიკური უზუსტობებისა და ტერმინოლოგიის გასწორება. (მაგ. ,,Технология и менеджмент проектирования поисковых работ на нефть и газа"). ექსპერტთა აზრით, ნაცვლად ტერმინისა „Учебные умения" უმჯობესია გამოვიყენით ტერმინი „способность учится" და ა.შ.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეთანხმებოდა ექსპერტთა მოსაზრებებს და ვიზიტის დროსვე გაითვალისწინა მათი რეკომენდაციების უმრავლესობა. ლაბორატორიის განახლებაზე განაცხადა, რომ ეს მუდმივ პროცესს წარმოადგენდა და პერიოდულად ხდებოდა კიდეც ტექნიკის განახლება. რექტორის განცხადებით უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო მსგავსი ხარჯები, თუმცა, მიუხედავად ამისა, ტექნიკის გარკვეული ნაწილი მოდერნიზებას საჭიროებდა და ეს ძალიან დიდ თანხებთან იყო დაკავშირებული, ერთბაშად ვერ მოხერხდებოდა ამ საკითხის მოგვარება.

ლიტერატურის განახლების აუცილებლობაზე განაცხადა, რომ ეს პროცესი უნივერსიტეტში გარკვეული სიხშირით ისედაც ხორციელდებოდა და აპირებდნენ ამ მიმართულებით საქმიანობის გაგრძელებას.

დაწესებულების რექტორის განცხადებით, ბოლო რეკომენდაციის გარდა ყველა რეკომენდაცია მისაღები იყო და იზიარებდა.

საბჭო დაინტერესდა საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებას ითვალისწინებდა თუ არა დაწესებულება ამ პროგრამის შემუშავებისას, რაზეც წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამის შემუშავებისას ხელმძღვანელობდნენ ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში არსებული გამოცდილებით.

მაგდა მაღრაძე დაინტერესდა, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს გააჩნდა თუ არა სათანადო ენობრივი კომპეტენცია, იმისათვის რომ ლექციები ჩაეტარებინათ რუსულ ენაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას იღებდა უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, რომელთა უმრავლესობას რუსულ ენაზე გამოქვეყნებული ჰქონდა სამეცნიერო ნაშრომები და შესაბამისად, მათი ენობრივი კომპეტენციაც დასტურდებოდა.

ნანა გაფრინდაშვილმა განაცხადა, რომ მხოლოდ რუსულენოვანი ნაშრომებით ვერ დადასტურდებოდა აკადემიური პერსონალის მიერ რუსული ენის ცოდნა. რაზეც წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აკადემიური პერსონალის შერჩევისას, ძირითადად, ხელმძღვანელობდნენ პირის კვალიფიკაციით და გარდა ამისა, მისი განცხადებით, აკადემიური თანამდებობის დაკავებამდე პირი ვალდებული იყო საჯარო ლექცია ჩაეტარებინა. შესაბამისად, მისი კომპეტენციების დადგენა პრობლემას არ წარმოადგენდა.

საბჭომ დაასრულა აღნიშნული საკითხის განხილვა და გადავიდა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხის განხილვაზე.

6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატყეო საქმის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	სატყეო საქმე
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	აგრარულ მეცნიერებათა დოქტორი სატყეო საქმეში
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	0105
კრედიტების რაოდენობა	180

საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა, დავით ჩიჩუამ, რომელმაც აღნიშნა, რომ კონკრეტულად ამ ვიწრო სპეციალიზაციის ექსპერტი ჯგუფის შემადგენლობაში არ ყოფილა, ამდენად, ნაწილობრივ, დაეყრდნენ დაწესებულების წარმომადგენელების მოსაზრებებს და არგუმენტებს საკითხის შეფასებისას.შენიშვნები, რაც თავის მხრივ ექსპერტებს ჰქონდათ ვიზიტის მიმდინარეობისას, დეტალურად განიხილეს და რიგი ცვლილებიბიც იქნა შეტანილი პროგრამაში, რაც დასკვნაშიც აისახა. ამასთან ექსპერტებს პროგრამის გაუმჯობესების მიზნით ექსპერტებს შემუშავებული ჰქონდათ რეკომენდაციებიც:

- სამომავლოდ სწავლების ხარისხის კიდევ უფრო გაუმჯობესებისათვის, მიზანშეწონილია, ძირითადი სასწავლო ლიტერატურის განახლება;
- მიზანშეწონილია, „სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკის სწავლების თანამედროვე მეთოდების“ სილაბუსის სწავლის შედეგებში მითითებული სწავლების პრაქტიკული მეთოდები ამოღებულ იქნას ან შესაბამისობაში იქნას მოყვანილი სასწავლო კურსის შინაარსი.

ნანა გაფრინდაშვილმა ითხოვა დაზუსტება, რას ნიშნავდა, რომ არცერთ კომპონენტში აკადემიური აქტივობა არ დასტურდებოდა. ექსპერტის თქმით, წარმოდგენილ შემთხვევაში იგულისხმებოდა ის, რომ პირვანდელი ვერსიით, პროგრამიდან არ ირკვეოდა როგორ ხდებოდა სწავლის შედეგებზე გასვლა, თუმცა, შეიცვალა სასწავლო კურსის სილაბუსი და პედაგოგიური უნარების განმავითარებელი კომპონენტი იქნა წარმოდგენილი. ამდენად, ექსპერტებმა მოსაზრება რეკომენდაციის სახით ჩამოაყალიბეს. ექსპერტმა საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კოლეგებმა გაითვალისწინეს რეკომენდაციები. მისი თქმით, როდესაც საუბარი იყო სადოქტორო პროგრამაზე, ძალიან ფაქიზ თემასთან ჰქონდათ საქმე, დოქტორანტურაში პროფესორზე იყო დამოკიდებული ბევრი რამ.

ექსპერტმა დააზუსტა, რომ საუბარი ჰოქნდა კვლევის მეთოდებზე.

წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რამდენჯერმე შეცვალეს მიდგომა. აღნიშნული მეთოდის შემოტანისას, გათვალისწინებული იქნა გამოცდილება, იგივე მიდგომა ჰქონდათ მასაჩუსეტის უნივერსიტეტს, „სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა" გამოიყენებოდა ყველგან.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, გაითვალისწინეს რეკომენდაცია, თუმცა, იქნებ მიზანშეწონილი იყო ყველანი გადასულიყვნენ კომუნიკაციის ტექნიკაზე.

დავით ჩიჩუამ აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენლების ეს მიდგომა ექსპერტებმა გაითვალისწინეს და ჩათვალეს, რომ სრული უფლება ჰქონდათ ამ სახითაც განეხორციელებინათ, თუმცა, ექსპერტები აფიქსირებდნენ საკუთარ მიდგომას, ტენქიკურად იყო არასწორად გაწერილი, პროგრამაში ხაზგასმული იყო პედაგოგიურ პრაქტიკაზე ორიენაცია, თუმცა, პროგრამიდანვე არ ირკვეოდა როგორ ხდებოდა შესაბამისი პედაგოგიური უნარ-ჩევების უზრუნველყოფა. ექსპერტმა ასევე დააზუსტა, რომ მხედველობაში არ ჰქონდა სასწავლო პრაქტიკა, არამედ საუბარი ჰქონდა მხოლოდ პრაქტიკულ მეთოდებზე.

ექსპერტის თქმით, კონკრეტულად სატყეო დარგის ცოდნა არ იყო საჭირო პროგრამის იმ მოცულობით შესაფასებლად, რა მოცულობითაც პროგრამა შემოწმდა. პროგრამაში სამი კურსი იყო, რომელსაც მისი კვალიფიკაციიდან გამომდინარე ვერ შეაფასებდა, რამდენად აქტუალური იყო თემატიკა და ა.შ.

მაია ჩიხლაძე დაინტერესდა, როგორ მოხდა ასეთი მოცულობის ცვლილების ორგანიზება სამ დღეში.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში რაიმე საკითხის ირგვლივ მსჯელობის დროს ყოველთვის ჰქონდათ რამდენიმე ვერსია წინასწარ შემუშავებული. ამდენად, უკვე არსებული პრაქტიკის გამოყენებით, შედარებით გაიოლდა ცვლილებების შემუშავება და გატარება. აღნიშნული დაადასტურა ექსპერტმაც, მისი თქმით, მართლაც ვიზიტის დროს წარმოდგენილ იქნა სილაბუსის რამდენიმე სამუშაო ვარიანტი, რამაც გააიოლა მსჯელობაც და ცვლილებებიც.

7. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული ტექნოლოგიების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	აგრარული ტექნოლოგიები
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	აგრარულ მეცნიერებათა დოქტორი აგრონომიაში
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	0101
კრედიტების რაოდენობა	180

საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა, დავით ჩიჩუამ, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- სასურველია, სასწავლო კურსს „აგროქიმია-ნიადაგმცოდნეობა" დაემატოს თემატიკა, რომელიც ითვალისწინებს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას აგრარულ სფეროში;
- აგრარულ ტექნოლოგიებში უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელია უახლესი ლიტერატურული მასალის გამოყენება, რასაც სრულად ვერ უზრუნველყოფს სასწავლო კურსების ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის ჩამონათვალი.

საბჭომ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათთვის მიმართულება ახალი არ იყო, უნივერსიტეტის ფუნქციონირების დაწყების დღიდან, პირველი ფაკულტეტი სწორედ აგრარული იყო. საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე, ტექნიკური უნივერსიტეტი კვების მრეწველობის მიმართულებით მუშაობდა და სასურსათო ტექნოლოგიების პროგრამასაც ათეულობით წლების მანძილზე, ქიმიის ფაკულტეტზე ახორციელებდა, კვალიფიკაციასაც აგრარული ტექნოლოგიების მიმართულებით ანიჭებდა. ამჯერად ქმნიდნენ აგრარულ ფაკულტეტს და აპირებდნენ მთელი გამოცდილების და პერსონალის თავმოყრას. მისი თქმით, პროგრამები, რომლებიც წარმოდგენილი იყო საბჭოზე შემუშავებული იყო აიოვას უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, მათ პროფესურასთან შეთანხმებით და ყოველმხრივ აკმაყოფილებდნენ საერთაშორისო მოთხოვნებს. წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ შესაბამისი კითხვით მიმართა მეცნიერებათა აკადემიას და აკადემიის პრეზიდენტისაგან მიიღო პასუხი, რომ მათ პროგრამები შეესაბამებოდა მათ მოთხოვნებს, ასევე, სავსებით პასუხობდა პროგრამის კვალიფიკაცია დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამის განხორციელებაში ჩართული იყო დარგის წამყვანი პროფესურა, შესაბამისი მემორანდუმები

ჰოქნდათ გაფორმებული ყველა წამყვან ორგანიზაციასთან, სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაკსვნაც კი ჰქონდათ პროგრამის დადებითად შეფასების თაობაზეო.

მაგდა მაღრაძემ აღნიშნა, რომ პროგრამა მეორედ იყო წარმოდგენილი სააკრედიტაციოდ, დაინტერესდა, ექსპერტებმა წინა ექსპერტების დასკვნა თუ ნახეს და დასტურდებოდა თუ არა მათ რეკომენდაციების გათვალისწინება.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ინფორმირებული არ იყო, თუ პროგრამა განმეორებით იქნა წარმოდგენილი.

დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნა, რომ ექსპერტებს შენიშვნა ჰქონდათ თანამედროვე ლიტერატურასთან დაკავშირებით. ამჟამად პროგრამაში ლიტერატურის 70-80% 2005-2011 წლებში გამოცემული წიგნებით იყო წარმოდგენილი.

საბჭომ დაასრულა აღნიშნული საკითხის განხილვა და გადავიდა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხის განხილვაზე.

8. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასურსათო ტექნოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	სასურსათო ტექნოლოგია
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სასურსათო ტექნოლოგიის დოქტორი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	0104
კრედიტების რაოდენობა	180

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა, დავით ჩიჩუამ რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამას თან ერთვოდეს შესაბამისი სასწავლო კომპონენტების (საგნების) შესწავლის წინაპირობის მატრიცა;
- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამას თან ერთვოდეს პროგრამის განხორციელებისათვის გამოყენებული სასწავლო კომპონენტების(საგნების) მოკლე ანოტაციები.

საბჭომ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეროვნული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების ერთადერთი საშუალება იყო სასურსათო ტექნოლოგიების განვითარება და ამ კუთხით მუდმივი კვლევების განხორციელება. მამია ჯანჯალიამ იკითხა, რამდენად საჭირო იყო ექსპერტიზისათვის დოქტორის აკადემიური ხარისხის ფლობა, დაწესებულებების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ აღნიშნული დარგის სწავლება და კვლევა ასევე აქტუალური იყო.

საბჭომ დაასრულა აღნიშნული საკითხის განხილვა და გადავიდა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხის განხილვაზე.

9. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგზაო ინჟინერიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	საგზაო ინჟინერია
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ინჟინერიის დოქტორი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	04
კრედიტების რაოდენობა	180

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა, კონსტანტინე სირბილაძემ რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველია ხიდსაცდელი ლაბორატორიისა და საექსპლუატაციო მასალებისა და ეკოლოგიურობის ლაბორატორიის მოდერნიზება და თანამედროვე ლაბორატორიული მოწყობილობებით აღჭურვა;
- სასურველია პროგრამაში გათვალისწინებული იყოს ახალი კურსის შემოტანის შესაძლებლობა დოქტორანტის სადისერტაციო თემის შესაბამისად.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ რიგი რეკომენდაციებისა დაწესებულებამ გაიზიარა ვიზიტის პერიოდში, რაც ასახული იყო დასკვნაში.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ლაბორატორიის მოდერნიზების თვალსაზრისით ამჟამად აზიის განვითარების ბანკის ეგიდით უნივერსიტეტისთვის მილიონი დოლარი იყო გამოყოფილი, ამჟამად პროექტის დონეზე იყო დაფინანსება, რაც მოხმარდებოდა საგზაო ინჟინერიის ცენტრის ლაბორატორიის რეაბილიტაციას. ამჟამად დაწესებულებაში არსებობდა და ფუნქციონირებდა შესაბამისი ხიდსაცდელი და სხვა ლაბორატორიები, თუმცა ყველა მათგანი მოძველებული იყო. კურსების თანმიმდევრობასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ პროგრამის აღნიშნულ წყობამდე უნივერსიტეტი ხანგრძლივი მუშაობის შედეგად მივიდა. დამატებითი საკითხების განხილვა, მათი აზრით, თემატური სემინარის ფარგლებში შეიძლებოდა განხორციელებულიყო.

ნანა გაფრინდაშვილმა იკითხა, თუ რამდენი დოქტორანტის მიღებას აპირებდა უნივერსიტეტი. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 6 პროფესორს თავისუფლად შეეძლო 30 დოქტორანტის მიღება, რაზეც ნანა გაფრინდაშვილმა აღნიშნა, რომ ვერ დაეთანხმებოდა ამგვარ გათვლას და თვლიდა, რომ 30 თემის შეთავაზება ტექნიკური უნივერსიტეტის მხრიდან არ წარმოედგენა რეალურად.

საბჭომ დაასრულა აღნიშნული საკითხის განხილვა და გადავიდა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხის განხილვაზე.

10. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცხოველეობის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	მეცხოველეობა
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	აგრარულ მეცნიერებათა დოქტორი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	01
კრედიტების რაოდენობა	180

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა, დავით ჩიჩუამ რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციები:

- სამომავლოდ სწავლების ხარისხის კიდევ უფრო გაუმჯობესებისათვის რეკომენდირებულია მოხდეს ძირითადი სასწავლო ლოტერატურის განახლება.
- „სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკის და სწავლების თანამედროვე მეთოდების" სილაბუსში სწავლების პრაქტიკული მეთოდები ამოღებულ იქნას ან შესაბამისობაში იქნას მოყვანილი სასწავლო კურსის შინაარსი.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვიზიტის განმავლობაში, ექსპერტთა მოსაზრებების შესაბამისად, მოხდა მიზნებისა და შედეგების კორექტირება, რის შედეგადაც ექსპერტებმა დასკვნა შეადგინეს პროგრამის მოდიფიცირებულ ვარიანტზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აიოვას უნივერსიტეტთან მიღწეული შეთანხმების შესაბამისად, უნივერსიტეტი აპირებს დარგში აქტუალური სასწავლო მასალების მიღებასა და თარგმნას. ამ ეტაპზე ლიტერატურის 60 % იყო 2005 წლის შემდეგ გამოცემული.

ნანა გაფრინდაშვილმა იკითხა, რა სახელმძღვანელოების თარგმნა იყო მოსალოდნელი და რა თანხა იყო გამოყოფილი უნივერსიტეტის მიერ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ერთი გვერდის თარგმნა უჯდებოდათ 8 დოლარი, ხოლო აიოვას უნივერსიტეტის ლიტერატურის თარგმანზე გათვალისწინებულია 200 000 დოლარი.

მაგდა მაღრაძემ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია ასევე უცხოენოვან სამეცნიერო ლიტერატურასთან იმუშაონ სტუდენტებმა. ნანა გაფრინდაშვილი არ დაეთანხმა საბჭოს თავმჯდომარეს და დააფიქსირა მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ამ შემთხვევაში ქართული სამეცნიერო ენა ვერ განვითარდებოდა.

18:20 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება, სხდომა განახლდა 19:50 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო სხდომის მეორე ნახევარში მიღებული გადაწყვეტილებები:

- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო და ნავთობგაზის საქმის (რუსულენოვან) საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი-0);
- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატყეო საქმის სადოქტორო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი-0);
- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული ტექნოლოგიების სადოქტორო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი-0);
- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასურსათო ტექნოლოგიების სადოქტორო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი-0);
- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგზაო ინჟინერიის სადოქტორო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი-0);
- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცხოველეობის სადოქტორო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი-0);
-

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 18:45 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
მაგდა მაღრაძე

მდივანი
მაია ჩიხლაძე